საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/76

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2016 წ

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების მიზნით ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 26 დეკემბრის MES 5 16 01528102 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყაზახეთის იურიდიულ უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების მიზნით ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა ყურშუბაძე, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) პროფ. ადამ მახარაძე, ფაკულტეტის დეკანი (კომისიის წევრი);

გ) ნუნუ ჯაფარიძე, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

2. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი საბუთების შემოწმება/შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ განხორციელდეს 2016 წლის 27 დეკემბერს.
3. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები წარმოდგენილი იქნეს ბსუ-ს რექტორთან და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე არაუგვიანეს 2016 წლის 30 დეკემბერს.
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიის წევრებს.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**